საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/125 " 11 " აგვისტო 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ბ. შონიასათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ რამდენჯერმე - 2020 წლის იანვარსა და მარტში ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი. აღნიშნული ინიცირების საფუძველზე განცხადებები მიღებული არ ყოფილა. საკითხის ხელახლა ინიცირებამდე და კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი თავმჯდომარის უფლებამოსილების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ერთ-ერთი მოსამართლისათვის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრების მიერ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ნიკოლოზ მარსაგიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა ამავე კოლეგიის მოსამართლე ბადრი შონიას კანდიდატურა. ბადრი შონიას აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება, კერძოდ იგი იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე და ასევე, დაკისრებული ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ბადრი შონიას დაეკისროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2020 წლის 12 აგვისტოდან.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი